

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

გოჩა ნანიტაშვილი

სამთო-სამრეწველო კლასტერები იმერეთის რეგიონის
ბიზნესის განვითარებაში

სადოქტორო პროგრამა – ბიზნესის ადმინისტრირება
შიფრი – 02

დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

აკტორეფერატი

თ ბ ი ლ ი ს ი

2020

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში
ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი
ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი

თანახელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი გ. ლობჯანიძე

ემერიტუსი გ. ტაბატაძე

რეცენზენტები: _____

დაცვა შედგება 2020 წლის „____“ ივლისს, ____ საათზე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების,
საჯარო მმართველობის და მენეჯმენტის საუნივერსიტეტო
სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე
კორპუსი – VI, , აუდიტორია -----
მისამართი: 0175 , თბილისი, კოსტავას 77.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სტუ-ს ბიბლიოთეკაში,
ხოლო ავტორეფერატისა – ფაკულტეტის ვებ გვერდზე

სადისერტაციო საბჭოს მდივანი

პროფესორი

/ ლ. კოჭლამაზაშვილი/

Summary

Gocha Nanitashvili's dissertation „Mining-Industrial Clusters in Business Development of Imereti Region“ consists of an introduction and three chapters.

The introduction points to the need to develop a complex scientific problem, – to develop tools for cluster development in regional economic systems in modern Georgia and to open cluster functions – due to a combination of objective circumstances.

With the integration of global economic relations and the accelerated development of postindustrial change, ensuring the competitiveness of regional economic systems is a priority in territorial development tasks. This makes it more relevant to look for new competitive advantages, including in the structural organization of the regional economy.

In the region's internal environment, clusters have shown themselves to be effective ways of structuring relationships, with clustering as one of the leaders in economic theory and practice. At the same time, the formation of clustering in the regional economy has advanced tasks related to the establishment of a subsidiary-cluster structure and a native-regional system that are interoperable with the system.

In the regional economic system of Georgia, which is characterized by a variety of investment attractiveness, diversification of its development and not very high economic growth, there are significant opportunities for the formation and development of clusters of different profiles.

According to regional governance theory and practice, the development of new clustering tools adapted to increasing inter-regional competition, as well as innovative and intangible assets, as well as the conversion of human capital into the main drivers of modern development, is required. These instruments must be in line with the basic functions of clusters in the regional economy.

The first chapter, „Conceptual Aspects of the Functioning and Development of Clusters in Regional Economic Systems of Georgia“, discusses the main tasks of cluster formation and development in the modern Georgian regional economy, the main functions of clusters in modern Georgia and the instrumental development of clusters. Split into the regional economic systems of modern Georgia. In this chapter, the author points out that in the context of global integration of economic relations and postindustrial change, the competitiveness of regional economic systems is at the forefront of the tasks of territorial development. This situation makes it urgent to seek new competitive advantages, including in the structural organization of the regional economy. Herewith, the article deals with the business sector and cluster development, the main objectives in the economic system of Imereti.

In the second chapter, „Foreign Experience of Cluster Development and its Applicability in the Regions of Georgia“, the author discusses the foreign experience of cluster development, the main tasks of cluster development in the Imereti economic system, the evaluation of the formation of new competitive advantage functions. The author notes that clusters belong to a market form that is not created in a direct way; Most of the clusters known to date have been formed from the bottom-up initiative. However, due to their noticeable positive impact on regional development, the government supported the development of clusters in special ways. At the same time, studied and analyzed the potential for the formation of a mining-industrial cluster in the Imereti region.

Among the well-known deposits in the Imereti region are the following: manganese ore, coal, paving materials (Teshenite, marble limestone, tuff, basalt), aggregate, ceramic and refractory clays, potassium and aluminum alloy, gypsum and ecologically

pure fertilizers, mineral thermal waters and other deposits, the rational and efficient development of which will have a positive impact on the development of the region's rational direction, as well as on improving its position in the competitive struggle.

The third chapter, „Modern engines of regional economic development tools to establish clusters“, the author discusses the cluster cooperation platform as a promising regional cluster policy instrument, in addition, Controlling modified instrument cluster development management purposes and develop confidence between the participants of the cluster instrumentebis development. At the same time, the prospect of mining-industrial cluster formation in the Imereti region was developed and the model by the method of spearman's rank correlation.

In order to show the region's mineral resources potential and rational involvement in its market relations, it is necessary to implement measures that require full cycle of activities in this field to extract minerals, recycle, finalize high-tech, high-efficiency products and demand its quality, marketing strategy. Prior to the effective sale of these products, it will ensure the proper functioning of the dynamic management system, take into account the real market demands and the production capacity of the mineral resources base, the current socio-economic situation in the region in the long run.

Developing a strategy for socio-economic development of Imereti region, including innovative infrastructural types, in terms of the formation of clusters, business incubators and others, consider the following effective solutions to the following key issues:

Preparation of regional programs to support the development of small and medium-sized businesses in the mining sector, definition of their implementation mechanisms and control over their effective implementation. Creating high-performance new types of entrepreneurial products on the basis of existing mining industrial potential and high technologies; Improving the investment and business environment in the research sector, introducing high standards of social responsibility, which includes both the benefits of the local population and the real needs of the private sector in the exploitation of mineral resources; In the process of effective management of mineral resources, the creation of additional value for commodity products, the promotion of recycling in the territory of the country and the establishment of a coordinating body for this purpose at the central and regional levels.

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. კომპლექსური სამეცნიერო პრობლემის სიღრმისეული შემუშავების აუცილებლობა, – თანამედროვე საქართველოს რეგიონულ ეკონომიკურ სისტემებში სახელდობრ, იმერეთის რეგიონში კლასტერების განვითარების ინსტრუმენტების შემუშავება და სამთო-სამრეწველო კლასტერების ფუნქციების გახსნა, – განპირობებულია ობიექტური გარემოებების ერთობლიობით.

გლობალური ეკონომიკური ურთიერთობების ინტეგრაციისა და პოსტინდუსტრიული ცვლილებების დაჩქარებული განვითარების ფონზე,

ტერიტორიული განვითარების ამოცანებში წინა პლანზე გამოდის რეგიონული ეკონომიკური სისტემების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა. ეს გარემოება უფრო აქტუალურს ხდის ახალი კონკურენტული უპირატესობების ძიებას, მათ შორის რეგიონული ეკონომიკის სტრუქტურულ ორგანიზაციაში.

რეგიონის შიდა გარემოში კლასტერებმა საკუთარი თავი ურთიერთობების სტრუქტურული ორგანიზების ეფექტურ ფორმად წარმოაჩინეს, კლასტერულმა მიდგომამ, როგორც ერთ-ერთმა წამყვანმა, ფეხი მოიკიდა ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში. ამასთანავე, კლასტერული წარმონაქმნების ფორმირებამ რეგიონულ ეკონომიკაში, წინ წამოწია ისეთი ამოცანები, რომლებიც უკავშირდება სისტემის ურთერთქმედებაში მყოფი შვილობილი-კლასტერული სტრუქტურისა და მშობლიური-რეგიონული სისტემის ფუნქციონირებას.

კლასტერების რეგიონული სისტემების ფორმირებასთან დაკავშირებული ბევრი ფუნქცია ჯერ კიდევ არ არის გახსნილი; პოსტინდუსტრიული წარმონაქმნების აქტივიზაციის პირობებში, სხვა ანალოგიური ფუნქციები მხოლოდ იწყებენ წამრმოჩენას.

საქართველოს რეგიონულ ეკონომიკურ სისტემაში, რომელიც გამოირჩევა ინვესტიციური მიმზიდველობის არაერთგვაროვანი დონით, საკუთარი განვითარების დივერსიფიცირებითა და ეკონომიკური ზრდის არც თუ მაღალი ტემპებით, არსებობს მნიშვნელოვანი შესაძლებლობები სხვადასხვა პროფილის კლასტერული წარმონაქმნების ფორმირებისა და განვითარებისთვის. რეგიონების პროდუქტიული განვითარების სტრატეგიის შემუშავება გულისხმობს ფუნქციების ზუსტ შეფასებას, რომელთა რეალიზებასაც შეძლებენ კლასტერული წარმონაქმნები რეგიონულ ეკონომიკურ სისტემა-სთან მიმართებაში. ამჟამად კლასტერული წარმონაქმნების განვითარების პოტენციალი, საქართველოს მხარეთა ეკონომიკურ სისტემაში ნაწილობრივ არის რეალიზებული.

რეგიონული მართვის თეორიისა და პრაქტიკის მიხედვით მოთხოვნადია კლასტერების ახალი ინსტრუმენტების განვითარება, როლებიც ადაპ-

ტირებულნი იქნებიან რეგიონთაშორისი კონკურენციის ზრდასთან, აგრეთვე ინოვაციური და არამატერიალური აქტივების, აგრეთვე ადამიანისეული კაპიტალის გარდასახვასთან თანამედროვე განვითარების ძირითად ფაქტორებში. ხსენებული ინსტრუმენტები უნდა შეესაბამებოდნენ კლასტერების ძირითად ფუნქციებს რეგიონულ ეკონომიკაში.

რეგიონული და დარგობრივი კლასტერების ფუნქციების გახსნისა და მათი სხვა სუბიექტებთან ურთიერთქმედების ინსტრუმენტების პრობლემათა სიღრმისეული შესწავლის აუცილებლობა, თანამედროვე საქართველოს შესაბამის ეკონომიკურ სისტემებში კლასტერების შექმნისა და განვითარების უპირობო აუცილებლობით არის განპირობებული.

ეკონომიკური ურთიერთობების გლობალური ინტეგრაციის და პოსტ-ინდუსტრიული გარდაქმნების პროცესში ტერიტორიული განვითარების სხვა ამოცანათა შორის წინა პლანზე წამოიწია რეგიონის ეკონომიკური სისტემების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის პრობლემებმა. ეს გარემოება აქტუალურს ხდის ახალი კონკურენტული უპირატესობის ძიებას, მათ შორის რეგიონული და დარგობრივი ეკონომიკის სტრუქტურულ ორგანიზაციის თვალსაზრისით.

რეგიონების შიდა სტრუქტურულ განვითარებაში კლასტერებმა გამოავლინეს საკუთარი თავი როგორც ეკონომიკური ორგანიზაციის ერთერთმა ეფექტურმა ფორმამ, ამდენად, რეგიონული ეკონომიკის განვითარების თეორიასა და პრაქტიკაში კლასტერული მიდგომა დომინირებს. ამასთან ერთად, რეგიონულ ეკონომიკაში კლასტერების რიგის ფორმირება წარმოშობს „სათაო“ რეგიონული ეკონომიკისა და „შვილობილი“ კლასტერების ურთიერთქმედების პრობლემებს. რეგიონული ეკონომიკური სისტემის მიერ წარმოქმნილი კლასტერების თვით წარმომქმნელ სისტემებთან ურთიერთობის ბევრი საკითხი ჯერჯერობით არაა გამოკვლეული, ვინაიდან ბევრი მათგანი ურთიერთობის პროცესში იბადება და მხოლოდ პოსტინდუსტრიული გარდაქმნების პირობებში იჩენს თავს.

იმერეთის რეგიონის ეკონომიკურ სისტემაში, რომელიც არ გამოირჩევა საინვეტიციო მიმზიდველობით, განვითარების დივერსიფიკაციითა და

ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპებით, უნდა წარმოიშვას მნიშვნელოვანი პირობები კლასტერული განვითარებისათვის. მხარის განვითარების პროდუქტიული სტრატეგიის შემუშავება გულისმობს იმ ფუნქციების ზუსტ შეფასებას, რომლის რეალიზებასაც კლასტერები შეძლებენ.

რეგიონული მართვისა თეორია და პრაქტიკა მოითხოვს კლასტერების განვითარების ახალი ინსტრუმენტების შემუშავებას, რომელიც რეგიონთაშორის და დარგთაშორის კონკურენციასთან იქნება ადაპტირებული, და, რომელიც შეძლებს ინოვაციური არამატერიალური აქტივების და ადამიანური კაპიტალის თანამედროვე განვითარების საკვანძო ფაქტორებად გარდაქმნას. ცხადია, აღნიშნული ინსტრუმენტები რეგიონული და დარგობრივი კლასტერების განვითარების ძირითად მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს.

კვლევის მიზნები და ამოცანები. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს კლასტერების ფუნქციების კონცეპტუალური კვლევა და მათი განვითარების ინსტრუმენტების შესწავლა თანამედროვე საქართველოს რეგიონულ ეკონომიკაში.

დასახული მიზნის რეალიზებისთვის აუცილებელია შემდეგი სამეცნიერო ამოცანების გადაწყვეტა:

კლასტერების განვითარების მთავარი ამოცანების დასახვა თანამედროვე საქართველოს რეგიონულ ეკონომიკაში;

კლასტერების განვითარებისთვის მოქმედი ინსტრუმენტული უზრუნველყოფის შეფასება არსებულ დონეზე;

საქართველოს ეკონომიკურ სისტემაში, განვითარების თანამედროვე ეტაპზე, კლასტერების ახალი ფუნქციების აღმოჩენა და შეფასება.

საქართველოს რეგიონულ ეკონომიკაში კლასტერების განვითარების სპეციალური ინფრასტრუქტურის სქემის შემუშავება;

კლასტერის განვითარების სამართავად კონტროლინგის ინსტრუმენტის გაუმჯობესება და ისეთი ახალი ინსტრუმენტების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს ნდობის გაღრმავებას კლასტერების მონაწილეთა შორის.

- სამთო-სამრეწველო კლასტერების როლის განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკაში;

- მინერალური რესურსების კლასიფიკაციის და მარაგების ანალიზი იმერეთის რეგიონში;
- კლასტერული პოლიტიკის ფორმირების უცხოური გამოცდილების არსებული მდგომარეობის და განვითარების ტენდენციების შესწავლა;
- იმერეთის რეგიონის ეკონომიკური და ბიზნეს ურთიერთობების განვითარების ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბება;
- სამრეწველო და რეგიონული კლასტერიზაციის მიმართულებების განსაზღვრა იმერეთის რეგიონში;
- იმერეთის რეგიონში ბიზნესის განვითარების მიზნით სამთო საწარმოთა ეკონომიკური ეფექტიანობის სრულყოფის ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბება სამთო-სამრეწველო კლასტერების საფუძველზე;
- იმერეთის რეგიონში სამთო-სამრეწველო კლასტერების ფორმირების კონცეფტუალური მოდელის შემუშავება.

თემის შესწავლის მდგომარეობა. ნაშრომის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს შეადგენს ქართველი და მეტწილად უცხოელი მეცნიერ-ეკონომისტებისა და სოციოლოგების სამეცნიერო ნაშრომები. ამ ნაშრომებიდან ავტორმა მიიღო ემპირიული კვლევისა და სამეცნიერო მოსაზრებათა ფუნდამენტური დააბუთების კომპლექსურობის იდეა.

აქედან გამომდინარე, შევისწავლეთ კლასტერების შესახებ ისეთი მეცნიერების მოსაზრებები, როგორებიც არიან: მ. პორტერი, მ. ენრაიტი, ე. ფეზერი, ც. ფრიმენი, ს. პერესი, ჯ. ჰემფრი, კ. შმიცი, ბ. ლუნდვალი, ბ. ჯონსონი, კ. ნილსენი, პ. მასკელი, მ. ლარენცენი, ს. როზენფილდი და სხვები.

პოსტინდუსტრიული ცვლილებების პერსპექტივები და პრობლემები თანამედროვე საქართველოს ეკონომიკურ რეგიონულ სისტემებში შემუშავებული და შესწავლილია შემდეგი მეცნიერებების ნაშრომებში: ე. ბარათაშვილი, ა. აბრალავა, რ. ქუთათელაძე, მ. ჩეჩელაშვილი, ი. მახარაშვილი, თ. ღამბაშიძე, ზ. ლუდუშაური, ი. მესხია, ნ. გრძელიშვილი, ი. გაგნიძე და სხვები.

ამასთანავე, ხსენებული სამეცნიერო პრობლემის ბევრი მნიშვნელოვანი ასპექტი არ არის საკმარისად კარგად აღწერილი თანამედროვე სამეცნიერო ეკონომიკურ ლიტერატურაში, მაგალითად:

- კლასტერების განვითარების მთავარი ამოცანები რეგიონულ ეკონომიკაში;
- კლასტერების ახალი ფუნქციები, განპირობებული ტერიტორიული კონკურენციის განვითარებით და პოსტინდუსტრიული ცვლილებების აქტივაციით;
- კლასტერების განვითარების სპეციალური ინსტრუმენტების შემუშავება, რომლებიც გაითვალისწინებენ რეგიონული ეკონომიკის ახალ მოთხოვნებს და რეგიონული კვლევების ახალ შესაძლებლობებს.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს რეგიონული ეკონომიკის ფარგლებში კლასტერების ფუნქციების გაშლაში, აგრეთვე კლასტერების ინსტრუმენტების კომპლექსის შემუშავებაში პოსტინდუსტრიული ტრანსფორმაციის დასაჩქარებლად. ავტორის მიერ ჩამოყალიბებულია შემდეგი მეცნიერული მიგნებები:

ნაპოვნია კლასტერების ახალი ფუნქციები რეგიონული ეკონომიკის ფარგლებში პოსტინდუსტრიული ტრანსფორმაციის პირობებში: რეგიონული ეკონომიკური სისტემის წარმოებითი პროცესის ინტელექტუალიზაციის ფუნქცია, რომელიც მდგომარეობს ცალკეული ორგანიზაციებისა და რეგიონული ეკონომიკური ინსტიტუტების როლისა და ადგილის გადაფასებაში და მომსახურების სფეროს სტრუქტურულ ცვლილებაში მაღალტექნოლოგიური სექტორების სასარგებლოდ;

რეგიონულ ეკონომიკურ სისტემაში შემუშავებულია კლასტერების განვითარების ვირტუალური ინფრასტრუქტურული პლატფორმის პროექტი, დადგენილია მოცემული პლატფორმის მთავარი ამოცანები რეგიონული ეკონომიკის მოდერნიზაციის პროცესში: კლასტერული ტექნოლოგიების დიფუზია; ბიზნეს პროცესების გამჭირვალობის უზრუნველყოფა კლასტერულ წარმონაქმებში, აგრეთვე კლასტერებისა და რეგიონალური ეკონომიკური სისტემების ურთიერთქმედების გამჭირვალობა; კლასტერული წარ-

მონაქმნების მონაწილეთა შორის კომუნიკაციის გაფართოება და პოლითე-
მატური ფორუმების ჩატარება;

კონტროლინგის მექანიზმი სახეშეცვლილია კლასტერების განვითარე-
ბის მართვის ამოცანებთან მიმართებაში მეზო-დონეზე: კონტროლინგის
არსი სპეციფირებულია კლასტერების მართვის განვითარებასთან; შემოთა-
ვაზეებულია კლასტერის კონტროლინგის მეთოდოლოგია, რომელსაც საფუძვლად
უდევს, კლასტერების მონაწილეთა და დამოუკიდებელ ექსპერტთა მიერ
შედგენილი კლასტერების განვითარების მონაცემების და მათი მიზნობ-
რივი მნიშვნელობების დაბალანსებული ერთობა, რომელსაც მოყვება მოცე-
მული მნიშვნელობებიდან დაშვებული გადახრების შემდგომი ანალიზი;

შემოთავაზებულია კლასტერების მმართველობითი ორგანოებსა და
მართვის ტერიტორიულ ორგანოებს შორის სტრატეგიული კონტრაქტის
ფორმა, რომელიც გვამლევს საშუალებას, ავსახოთ ურთიერთქმედების მრ-
ვალმხრივი ხასიათი, გრძელვადიანი გეგმები, ურთიერთობების ექსპლი-
ციტური ხასიათი, აგრეთვე რეგიონის განვითარების პრიორიტეტები;

შემუშავებულია პარტნიორების საიმედოობის რეიტინგის გამოთვლა
კლასტერული თანამშრომლობის მიერ შემოთავაზებული ვირტუალური
პლატფორმის საფუძველზე; კლასტერული ურთიერთობების ეკონომიკური
კულტურის განვითარების რეგიონული პროექტი, რომელიც რეალიზდება
სახელმწიფო-კერძო არაკომერციული პარტნიორობის ფარგლებში.

ავტორის ძირითადი წვლილი მდგომარეობს საქართველოს მინე-რა-
ლურ-სანედლეულო ბაზის ეფექტიანი ათვისებისა ტექნიკურ-ტექნოლო-
გიური და ორგანიზაციულ-ეკონომიკური პრობლემების ფუნდამენტურ
შესწავლაში და სათანადო ანალიზის საფუძველზე იმერეთის რეგიონის
ბიზნესის განვითარებაში სამთო-სამრეწველო კლასტერების ფორმირების
მიმართულებების შემუშავებაში.

კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი სიახლე მდგომარეობს იმაში,
რომ სადისერტაციო ნაშრომი – „სამთო-სამრეწველო კლასტერები იმერეთის
რეგიონის ბიზნესის განვითარებაში“, ერთ-ერთი პირველი კომპლექსური
გამოკვლევაა, სადაც შემუშავებული იქნა საკვლევი მიმართულებით სამთო

წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებები და პრაქტიკული რეალიზაციის ძირითადი გზები, რეგიონული ინოვაციური კლასტერების ფორმირების მოდელის საფუძველზე. ამასთან, ჩატარებული კვლევის საფუძველზე მნიშვნელოვანია შემდეგი ჩამოთვლილი სიახლეების აღნიშვნა:

- შესწავლილი და გაანალიზებულია სამთო-სამრეწველო კლასტერის ფორმირების პოტენციალი იმერეთის რეგიონში;
- განხილული და შეფასებულია სამთო-სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და მოთხოვნის მდგომარეობის ანალიზი, როგორც იმერეთის რეგიონის ეკონომიკის ეფექტიანი სტრუქტურის ჩამოყალიბების საფუძველი;
- განსაზღვრული და ჩამოყალიბებულია რეგიონული და დარგობრივი ინოვაციური კლასტერის მოდელი;
- ჩამოყალიბებულია წინადადებები და რეკომენდაციები, რომლებიც დაკავშირებულია იმერეთის რეგიონში სამთო-სამრეწველო კლასტერების ბაზაზე ბიზნესის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებებთან.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა მდგომარეობს:

მასში არსებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გამოყენების შესაძლებლობაში:

- კლასტერების მექანიზმების, ინსტრუმენტების და სტრატეგიების განვითარებისათვის;
- ტერიტორიული პროექტებისა და პროგრამების, აგრეთვე რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის კლასტერული კომპონენტების შექმნისათვის;
- რეგიონული ეკონომიკის ბიზნეს ლოკალიზაციების ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის შემუშავებისათვის;
- საკვლევ რეგიონსა და სექტორში ბიზნესის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომი მო-

იცავს რეზიუმეს, შესავალს, სამ თავს, დასკვნასა და გამოყენებული ლიტერატურის სიას.

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი შინაარსი

თავი 1. კლასტერების ფუნქციონირებისა და განვითარების კონცეპტუალური ასპექტები საქართველოს რეგიონულ ეკონომიკურ სისტემებში

1.1. კლასტერების ფორმირებისა და განვითარების მთავარი ამოცანები თანამედროვე საქართველოს რეგიონულ ეკონომიკაში ეკონომიკური ურთიერთობების გლობალური ინტეგრაციისა და პოსტ-ინდუსტრიული ცვლილებების პირობებში, ტერიტორიული განვითარების ამოცანებს შორის წინა პლანზე გამოდის რეგიონული ეკონომიკური სისტემების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა. მოცემული მდგომარეობა აქტუალურს ხდის ახალი კონკურენტული უპირატესობების მიებას და, მათ შორის, რეგიონული ეკონომიკის სტრუქტურულ ორგანიზაციაში.

თანამედროვე ქართულ ეკონომიკაზე, კლასტერების შექმნაზე კურსი ქვეყანამ 2005 წელს აიღო. სწორედ ამ პერიოდიდან კლასტერების შექმნის საკითხი იქცევა, როგორც ცენტრალური, ისე რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების ლაიტმოტივად.

საქართველოს მეცნიერებისა და ინოვაციების განვითარების სტრატეგიაში 2015 წლისთვის აღნიშნული იყო ეკონომიკის მოდერნიზაციის ისეთი ამოცანები, როგორებიცაა ინოვაციებზე მოთხოვნის სტიმულირება და მეცნიერული კვლევების შედეგები, მეცნიერულ-მწარმოებლობითი კოოპერაციული სისტემების, ინოვაციური ქსელებისა და კლასტერების ფორმირების წინაპირობების შექმნა. ხოლო საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან კონცეფციაში 2020, ქვეყნის განვითარების ინოვაციური სცენარის რეალიზაციის ერთერთ მექანიზმად აღნიშნულია კლასტერული ინიციატივების მხარდაჭერა, რომელიც მიმართული უნდა იყოს ორგანიზაციების როგორც შიდა, ასევე დარგთშორის და რეგიონთაშორის შედეგიან თანამშრომლობაზე, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

1.2. კლასტერების ძირითადი ფუნქციები თანამედროვე საქართველოს რეგიონულ ეკონომიკურ სისტემებში

კლასტერების ფუნქციები ბევრი მიმართულებით მხარს უჭერს რეგიონული სისტემის ფუნქციებს. კერძოდ, წარმატებით ფუნქციონირებადი კლასტერები ამაღლებენ ტერიტორიის ინვესტიციურ მიმზიდველობას და აძლიერებენ რეგიონის კონკურენტულ პოზიციებს, როგორც საერთოქართულ, ისე საერთაშორისო ბაზრებზე, ანუ პასუხობენ რეგიონული ეკონომიკური სისტემის უმნიშვნელოვანეს კითხვას – რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება. კლასტერული ურთიერთქმედების ქსელური ხასიათი ხელს უწყობს სინერგიას, რაც აისახება რეგიონული მენეჯმენტის ეფექტურობის ზრდაში. დაბოლოს, კონკურენტუნარიანი, ძლიერი კლასტერები ქმნიან რეგიონში ზონებს, როლმებიც წინ უსწრებენ განვითარებას – ზრდის წერტილები რეგიონულ ეკონომიკაში. კლასტერების და რეგიონული ეკონომიკური სისტემის ფუნქციების უკუკავშირი და ურთიერთ რეალიზაციის შესაძლებლობი წარმოდგენილია ნახ.-ზე 1.

რეგიონული ეკონომიკური სისტემის ფუნქციები	• კლასტერების ფუნქციები
კვლავწარმოება	• რეგიონის უზრუნველყოფა ხარისხობრივად ახალი პროდუქციისთა და მომსახურებით
საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა	• წარმატებული კლასტერი გადის მსოფლიო დონეზე
გარე ინვესტიციების სტიმულირება	• კლასტერები ზრდის ტერიტორიების საინვესტიციო მიმზიდველობას
ფინანსური ფუნქცია	• სახელმწიფო ბიუჯეტის რეგიონული მდგენელი
ინტეგრაციული ფუნქცია	• კლასტერების სინერგიულობა მათი კონსოლიდაციური ბუნებიდან გამომდინარე
სოციალური და მასშტაბილიზებული ფუნქცია	• ადამიანური კაპიტალის გაფართოებული კვლავწარმოება
ეკოლოგიური ფუნქცია	• ბუნებრივ-სარესურსო პოტენციალის რაციონალური გამოყენება

ნახ 1. რეგიონული ეკონომიკური სისტემისა და კლასტერების ფუნქციების ურთიერთკავშირი (შედგენილია ავტორის მიერ)

რეგიონული მართვის თეორიისა და პრაქტიკისთვის საჭიროა კლასტერების განვითარების ახალი ინსტრუმენტები, რომლებიც ადაპტირებული იქნება რეგიონთაშორის კონკურენციის ამალღების პირობებთან და აგრეთვე არამატერიალური ინოვაციური აქტივებისა და ადამიანისეული კაპიტალის გარდაქმნასთან თანამედროვე განვითარების შესაბამისად.

ცხადია, მოცემული ინსტრუმენტები უნდა პასუხობდეს კლასტერების მთავარ ფუნქციებს რეგიონულ ეკონომიკაში.

1.3. კლასტერების განვითარების ინსტრუმენტული უზრუნველყოფა თანამედროვე საქართველოს რეგიონულ ეკონომიკურ სისტემებში

კლასტერული განვითარების მხარდასაჭერად აუცილებელია დეტალურად დამუშავებული ინსტრუმენტები, რომლებიც საჭირო დონეზე ითვალისწინებენ კლასტერების ყველა მოთხოვნას და რეგიონული ეკონომიკური სისტემის სპეციფიკურ თავისებურებებს. ინსტრუმენტების შემუშავებისას შესაძლებელია მნიშვნელოვანწილად დავეყრდნოთ უცხოურ გამოცდილებას. ზოგიერთ უცხოურ ქვეყანას გააჩნია წარმატებული მრავალწლიანი გამოცდილება კლასტერულ მიდგომასთან დაკავშირებით, რომელთა შეფასება და გათვალისწინება უაღრესად მნიშვნელოვანია.

ცხრილი 1

კლასტერების განვითარებისთვის სახელმწიფო მხარდაჭერის მიმართულებები და ინსტრუმენტული უზრუნველყოფა

მხარდაჭერის მიმართულება	ინსტრუმენტული უზრუნველყოფა
სახელმწიფო დონეზე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, ტერიტორიული სამრეწველო კლასტერების განვითარების კონცეფციის კლასტერული პოლიტიკის მიღება საქართველოში	მოიცავს სამ ძირითად ბლოკს: - კლასტერების განვითარების ინსტიტუციონალური მხარდაჭერა; - კლასტერების მონაწილეთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება; - კლასტერების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა
განვითარების საინვესტიციო ფონდისა და ბანკის ფორმირება	ფონდის მხარდაჭერა, მიმართული მსხვილი სახელმწიფო და კერძო ბიზნესის პროექტების თანადაფინანსებაზე;
საწარმოებში ინვესტირება	ახალი სახის საქმიანობისა და ახალი ბიზნეს იდეების დაფინანსება, რომლებიც ტრადიციულად ითვლებიან მაღალი რისკის მატარებლებად, რაც წარმოადგენს დაბრკოლებას მათი დაფინანსებისთვის საბანკო კრედიტის სახით და სხვა მიღებული წყაროების მეშვეობით

კლასტერების განვითარებისთვის სპეციალური ინფრასტრუქტურის შექმნა	განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების, ტექნო-პარკების და ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა
ინფორმაციულ-კონსულტაციური მხარდაჭერა	კლასტერული მიდგომების რეალიზაციის მეთოდური ინსტრუქციის გამოცემა რეგიონებში
ადმინისტრაციული ბარიერების დაწვევა	„ერთი ფანჯრის“ პრინციპის რეალიზება
სახელმწიფო პროგრამები	მიზნობრივი ფედერალური პროგრამები, ფედერალური მიმართული ინვესტიციური პროგრამები; უწყებრივი მიზნობრივი პროგრამები
საკონკურსო მხარდაჭერა	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროგრამა კლასტერული პროექტების კონკურენტუნარიანობის მხარდასაჭერად; კონკურსის საფუძველზე საპილოტე, ინოვაციური ტერიტორიული კლასტერების მხარდაჭერა
ვირტუალური კომუნიკაციური ქსელების შექმნა	საქართველოს კლასტერული ობსერვატორია და მისი მსგავსი წარმონაქმნები რეგიონში – მაგალითად, კლასტერების განვითარების ცენტრი
სახელმწიფო-კერძო თანამშრომლობა	კონცესიური ხელშეკრულებების შეჯამება

ჩამოთვლილი მიმართულებების და კლასტერების განვითარების ინსტრუმენტების რაციონალური და ეფექტიანი დანერგვა, საქართველოს რეგიონულ ეკონომიკურ სისტემაში და სახელდობრ, იმერეთის რეგიონში მნიშვნელოვნად მოაგვარებს არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს.

1.4. კლასტერების განვითარების ძირითადი ამოცანები იმერეთის ეკონომიკურ სისტემაში

საქართველში რეგიონული განვითარების გამოთანაბრების სახელმწიფო პოლიტიკა ჩაანაცვლა ფოკუსირებული განვითარების პოლიტიკამ. შედეგად იქმნებიან რეგიონ-ლოკომოტივები, რომლებიც მოწოდებულია იქცნენ საყრდენ რეგიონებად მათში ფინანსური, ადმინისტრაციულ-მმართველობითი, ადამიანური და სხვა რესურსების ფოკუსირებისთვის. ასეთ რეგიონებს და მ. შ. იმერეთს აქვს პოტენციალი, გახდეს თანამედროვე საქართველოს პოსტინდუსტრიული ცვლილებების პლაცდარმი, იქცეს ინოვაციური აქტივობის გავრცელების ცენტრად სხვა რეგიონებისათვის.

სამართლიანია დასკვნა იმის შესახებ, რომ ბევრი მაჩვენებლის მიხედვით იმერეთის მხარის რეგიონული განვითარება უსწრებს საქართველოს დასავლეთის სხვა რეგიონებისას, ხოლო საკვლევი რეგიონის მონაცემები

საქართველოს საშუალო მონაცემებზე უფრო მაღალია. ეს საკმარის დონეზე განსაზღვრავს რეგიონის რესურსების პოტენციალს, რომელიც შედგება ხელსაყრელი ბუნებრივ-რესურსული და კლიმატური პირობებისგან, გამო-სადეგი გეოპოლიტიკური მდებარეობისგან, საკადრო პოტენციალისგან, პრიორიტეტული დარგების სახელმწიფო მხარდაჭერისგან და ა.შ. თუმცა სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ჯამში და რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, დამოკიდებულია რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების ეფექტიან განხორციელებაზე, სადაც კლასტერებს შეუძლიათ შექმნან რეგიონულ ეკონომიკაში ახალი კონკურენტუნარიანი უპირატესობები, აამაღლონ იმ რეგიონის კონკურენტუნარიანობა და ინვესტიციურ მიმზიდველობა, რომელშიც ბაზირდებიან, ამასთანავე ქმნიან მასში პირობებს მოდერნიზაციისა და პოსტინდუსტრიული ცვლილებების დასაჩქარებლად, ქმნიან ეკონომიკის ინსტიტუციონალურ ცვლილებას. ეს წარმოადგენს დღესდღეობით იმერეთის მხარის ეკონომიკური სისტემის განვითარების ძირითად ვექტორს.

თავი 2. კლასტერების განვითარების უცხოური გამოცდილება და საქართველოს რეგიონებში მისი გამოყენების შესაძლებლობა

2.1. კლასტერების განვითარების უცხოური გამოცდილება

საკმაოდ საინტერესოა აშშ-ს გამოცდილება. კალიფორნიის შტატის კლასტერიზაციისა და მასში მაღალტექნოლოგიური ინოვაციური ზონის შექმნის წყალობით, ამაღლდა ტერიტორიის პოტენციალი და ინვესტიციური მიმზიდველობა. დღეს ეს ტერიტორია იზიდავს არა მხოლოდ ამერიკელებს, არამედ ინვესტორებს მთელი მსოფლიოდან. კლასტერების განვითარების ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენების თვალსაჩინო მაგალითია სილიკონის ველი (კალიფორნიის შტატი, აშშ), რომელსაც გააჩნია მაღალი კლასტერიზაციის დონე და მაღალკონკურენტუნარიანი ეკონომიკა. მას შემდეგ, რაც გამოაშკარავდა, რომ მაღალტექნოლოგიურ წარმოებას ამერიკაში გააჩნია გარკვეულ ტერიტორიებზე კონცენტრირების ტენდენცია, ქვეყნის მთავრობამ დაიწყო ინოვაციური კლასტერების ფორმირების

სტიმულირება და განვითარება, ტექნოპარკების შექმნის გზით, აგრეთვე რეგიონული ტექნოლოგიური ალიანსების შექმნის წამახალისებელი პროგრამების რეალიზება (Regional Technology Alliances).

ნიდერლანდების ეკონომიკის კლასტერიზაციის პრაქტიკა მოიცავს, პირველ რიგში, კლასტერული ინიციატივების ისეთი მხარდაჭერის ინსტრუმენტებსა და კლასტერების განვითარების ისეთი ინფრასტრუქტურის ფორმირებას, როგორცაა განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის (ანტი-ლის კუნძულებზე) შექმნა და საპილოტე პროექტის, – კომერციული, ინვესტიციური ზონის შექმნის, – რეალიზება. ამისათვის ნიდერლანდების ეკონომიკა დანაწევრებული იყო 10 მეგაკლასტერად: შემგროვებელი დარგები, ქიმიური დარგები, ენერგეტიკა, აგრო-სამრეწველო კომპლექსი, მშენებლობა, მედია, ჯანდაცვა, კომერციული მომსახურების დარგები, არაკომერციული მომსახურების დარგები, ტრანსპორტი. კლასტერებს შორის ანალიზმა, – ცოდნის ნაკადმა, – მისცა მათ საშუალება, დაედგინათ ინოვაციური პროცესების მახასიათებლები. ნიდერლანდებში ნაციონალურ დონეზე შექმნილია ინოვაციური პლატფორმა, რომელიც მიმართულია მაღალტექნოლოგიური დარგების, ინოვაციური კლასტერების და ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციური გზებით განვითარების მხარდაჭერაზე.

ეკონომიკის განვითარებისთვის კლასტერული ტექნოლოგიების დანერგვის კიდევ ერთ მაგალითს საავტომობილო კლასტერების შექმნის **გერმანული** პრაქტიკა წარმოადგენს. ისტორიულად შექმნილი პრობლემების და განვითარების ეკონომიკური მოთხოვნების გამო, ომის შემდგომ წლებში, გერმანიის წინაშე დადგა ამოცანა: უმოკლეს დროში უნდა შეექმნათ მრეწველობის კონკურენტუნარიანი დარგები. როგორც ვიცით, სწორედ კლასტერებმა გამოავლინეს თავიანთი ეფექტურობა იქ, სადაც მოსალოდნელია გარღვევა. ამიტომ, სრულიად რაციონალურად, გერმანულმა მთავრობამ არჩია ბიზნეს-სტრუქტურებთან თანამშრომლობა და კლასტერული მიდგომის გამოყენება, რომლის ფოკუსად საავტომობილო მრეწველობა იქცა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია **კანადის, ფინეთის, შვეციის, ავსტრალიის, რუსეთის, ყაზახეთის და სომხეთის** გამოცდილება კომპლექსური რეგიონ-

ნული და დარგობრივი კლასტერების შექმნის კუთხით, ისინი თავის თავში მოიცავენ სხვადასხვა სამთო-სამრეწველო კლასტერს. ინტერესი ამ გამოცდილების მიმართ ნაკარნახევია ქართულ რეგიონებში ასეთი მოდელის გადმოღების შესაძლებლობით სახელმწიფო, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე.

ევროპისა და ჩრდ. ამერიკის კლასტერების სახელმწიფო მხარდაჭერის ინსტრუმენტების შედარებისას, შეგვიძლია ავლნიშნოთ, რომ ევროპის კურსი მიმართულია კლასტერებისთვის ხელსაყრელი ინფრასტრუქტურის შესაქმნისაკენ, მაშინ როცა ამერიკაში კლასტერების განვითარების ინსტრუმენტები რეალიზდება ძირითადად ინოვაციური პროექტებისა და ინოვაციებზე ორიენტირებული კლასტერების მხარდაჭერაში.

2.2. ახალი კონკურენტული უპირატესობების ფუნქციათა ფორმირების შეფასება

კლასტერების მთავარ ფუნქციებს შორის რეგიონულ ეკონომიკურ სისტემაში, ამ სისტემის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას უკავია მნიშვნელოვანი ადგილი.

რეგიონისათვის მხარისთვის პრიორიტეტულ დარგებში მნიშვნელოვანია სამთო-სამრეწველო, ენერგეტიკული, სამშენებლო, აგრო-სამრეწველო, სავაჭრო-გასართობი, ტურისტული და სხვ. კომპლექსები, კლასტერების ქსელის განვითარება, კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში, მნიშვნელოვანია იმერეთის მხარეში რეგიონული და სამთო-სამრეწველო კლასტერების ჩამოყალიბება, სადაც გაითვალისწინება მეტალურგიული (მანგანუმის მადნის მოპოვება-გადამუშავება, კონცენტრატების და ფეროშენადნობების წარმოება) და სათბობ-ენერგეტიკული პროდუქციის (ტყიბულის ქვანახშირის მოპოვება-გადამუშავება), სამთო-ქიმიური მრეწველობის ნედლეულის (ბარიტი, დიატომიტი, ბენტონიტური თიხების (გუმბრინი)), სამშენებლო მასალების (თიხები, მ. შ. სააგურე თიხა), კერამიკის წარმოებისათვის ნედლეულის (კერამიკული თიხა), მეტალურგიისათვის დამხმარე ნედლეულის (ცეცხლგამძლე თიხები), მოსაპირკეთებელი ქვების (მარმარილო, მარმარილოსებრი

კირქვები, ტემენიტი, ბაზალტი) და სხვა წიაღისეულთა ბაზაზე ადგილობრივი მოხმარების და საექსპორტო პროდუქციის წარმოება.

ცხადია, ასეთ პირობებში, უნდა გაგრძელდეს იმერეთის მხარის სამთო პროფილის საწარმოების პროდუქციის და მასთან დაკავშირებული მომსახურების მოცულობის ზრდა, რომლის შედეგად გაიზრდება მთლიანი რეგიონული პროდუქტი, რეგიონის მოსახლეობის დასაქმება და დადგება დარგთაშორისი ურთიერთქმედების მზარდი ეკონომიკური ეფექტი.

2.3. პოსტინდუსტრიულ გარდაქმნათა პლაცდარმების შექმნის ფუნქციის შეფასება

რეგიონს გააჩნია საკმარისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი, თუმცა არასაკმარისად იყენებს მას. იმ მუშათა საშუალო რაოდენობა, რომლებიც ჩართულნი არიან მეცნიერულ კვლევებში ან/და ქმნიან გამოგონებებს, ოპტიმისტური დინამიკის მატარებელია: მიმდინარე წელს ეს მაჩვენებელი გაიზარდა 5,7 %-ით და შეადგინა 573 ადამიანი. მაგრამ სამეცნიერო კვლევებზე და გამოგონებებზე გაწეული ხარჯებისა და მომზადებული დოქტორანტების რიცხოვნობის ზრდის დინამიკა არც თუ სახარბიელოა.

იმერეთის რეგიონი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ინფორმაციული ტექნოლოგიების გავრცელების კუთხით, კერძოდ ინტერნეტის მოხმარებაში საქართველოს მოწინავე რეგიონების უმრავლესობისგან განსხვავებით.

ჩატარებული PEST და SWOT ანალიზის შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია აღვნიშნოთ შემდეგი:

- ✚ რეგიონში კლასტერების განვითარების ხელსაყრელ პირობებად ითვლება: პრიორიტეტულობა როგორც ეროვნული ეკონომიკური სისტემისთვის, ისევე რეგიონული ეკონომიკის იმ დარგებისთვის, სადაც აქტიურად ფორმირდება კლასტერები;
- ✚ რეგიონული მმართველობის მაღალი ეფექტიანობა;
- ✚ ხელსაყრელი პირობები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის;
- ✚ რეგიონის საკმაოდ მაღალი ინოვაციური პოტენციალი; აგრეთვე

ხარჯების ზრდის მაღალი ტემპები სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე და ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კავშირის დაჩქარებული განვითარება კუთხეში.

2.4. სამთო-სამრეწველო კლასტერების ფორმირების პოტენციალის შეფასება იმერეთის რეგიონში

რეგიონის შესაძლებლობა მდგომარეობს იმაში, რომ შექმნას ისეთი ეკონომიკური პოტენციალი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრესულ განვითარებას, მოსახლეობის შემოსავლების მაღალ და სტაბილურ დონეს და საინვესტიციო რესურსების მოზიდვას. აქ მნიშვნელოვანია რეგიონის მინერალურ-სანედლეულო ბაზის და საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებას შორის ურთიერთობების ოპტიმიზაცია.

ამჟამად იმერეთში 100-ზე მეტი (სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მასალების მიხედვით საქართველოში აღმოჩენილი 395 საბადოდან 109 საბადო, მათ შორის ყველაზე ბევრი მანგანუმის (26) დაკირქვის (23) საბადოა, რომლებიცჭიათურასა და თერჯოლაში მდებარეობს), მინერალურ-სანედლეულო რესურსის საბადოა აღრიცხული, რომელთაგან ნახევარზე მეტი საექსპორტოა.

ცხრილში 2 მკაფიოდ ჩანს, რომ საქართველოს ყველა მხარე, ქვეყნის დედაქალაქის ჩათვლით, მინერალური რესურსების საკმაო მარაგის მქონეა. ამასთან, აფხაზეთი, აჭარა, გურია, სამეგრელო და ზემო სვანეთი, **იმერეთი** და ქვემო ქართლი შეიცავს ყველა ეკონომიკური ტიპის რესურსს, სადაც ასახულია მინერალური რესურსული ფონდის განაწილება ეკონომიკური ტიპების მიხედვით და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით.

იმერეთის რეგიონში საკმაოდ ცნობილი საბადოებიდან აღსანიშნავია შემდეგი: მანგანუმის მადნის, ქვანახშირის, მოსაპირკეთებელი მასალების (ტემენიტი, კირქვები, მარმარილოსებრი კირქვები, ტუფი, ბაზალტი), სააგურე, კერამიკული და ცეცხლგამძლე თიხების, კალიუმის, ალუმინისა და ეკოლოგიურად სუფთა სასუქების მისაღებად ვარგისი გლაუკონიტის შემცველი ნედლეულის, გიშერის, მინერალური თერმული წყლების და სხვა

საბადო, რომელთა რაციონალური და ეფექტიანი ათვისება დადებითად იმოქმედებს როგორც რეგიონის რაციონალური მიმართულებით განვითარებაზე, ისე მისი პოზიციების გაუმჯობესებაზე კონკურენციულ ბრძოლაში.

ცხრილი 2¹

მინერალური რესურსული ფონდის განაწილება საქართველოს მხარეებში

მხარე	რესურსების ეკონომიკური ტიპი, %							
	სათბობ-ენერგეტიკული რესურსები	მეტალური და იშვიათი ლითონები	ქიმიური, აგროქიმიური და სხვა რესურსები	სანაკეთო ქვები და კერამიკული რესურსები	მოსაპირკეთებელი და საშენი ქვები	მეტალურგული, ინერტული და სამშენობლო რისოსოზები	მიწისქვეშა მინერალური წყლები	მთლიანად
თბილისი	2.4	0.0	1.0	0.0	0.4	0.8	0.0	0.6
აფხაზეთის ა.რ.	19.0	10.1	14.6	1.3	14.3	10.2	14.5	11.6
აჭარის ა.რ.	2.4	4.3	1.0	2.5	2.6	1.7	4.3	2.3
გურია	16.7	1.4	3.1	3.8	1.7	2.8	5.8	3.4
სამეგრელო&ზემო სვანეთი	23.8	5.8	5.2	7.5	9.1	9.1	5.8	8.7
იმერეთი	7.1	7.2	34.2	30.0	22.1	19.2	13.0	20.7
რაჭა-ლეჩხუმი&ქვემო სვანეთი	0.0	31.9	5.5	20.0	6.5	5.2	2.9	8.3
შიდა ქართლი	0.0	10.1	7.3	8.0	5.6	14.0	8.7	9.3
სამცხე-ჯავახეთი	2.4	0.0	11.5	13.8	7.8	8.3	14.5	8.5
მცხეთა-მთიანეთი	0.0	0.0	7.3	7.5	5.2	6.1	14.5	6
ქვემო ქართლი	7.1	27.5	5.2	8.6	21.2	8.3	8.7	12.5
კახეთი	19.1	1.5	4.1	0.0	3.5	14.3	7.3	8.1
სულ ჯამი	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0	100.0

თავი 3. თანამედროვე საქართველოს რეგიონულ ეკონომიკურ სისტემებში კლასტერების განვითარების ინსტრუმენტების დაფუძნება

3.1. კლასტერული თანამშრომლობის პლატფორმის შემუშავება, როგორც რეგიონული კლასტერული პოლიტიკის პერსპექტიული ინსტრუმენტი

კლასტერული განვითარების მხარდასაჭერად აუცილებელია დეტალურად შემუშავებული ინსტრუმენტები, რომლებიც საჭირო დონეზე გაითვალისწინებს რეგიონში კლასტერების მოთხოვნილებებს და რეგიონული

¹ თვალჭრელიძე ა., სილაგაძე ა., ქეშელაშვილი გ., გეგია დ. საქართველოს სოციალურ ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბილისი, „ნეკერი“, 2011, გვ. 29-64.

ეკონომიკური სისტემის სპეციფიკურ თავისებურებებს.

რეგიონული ეკონომიკური სისტემის კლასტერების განვითარების კომპლექსში ჩავრთავთ: კლასტერული თანამშრომლობის ინფრასტრუქტურული პლატფორმის შექმნას, კლასტერების კონტროლინგის მექანიზმის სახეცვლას კლასტერული განვითარებისთვის, სტრატეგიული კონტრაქტის შექმნას კლასტერებსა და ტერიტორიული მართვის ორგანოებს შორის, აგრეთვე რეგიონში ეკონომიკური ნდობის ამაღლების ინსტრუმენტებს, კერძოდ: კლასტერული წარმონაქმნების მონაწილეთა სანდოობის რეიტინგის ფორმირება, კლასტერული ურთიერთობების ეკონომიკური კულტურის პროექტის შემუშავება, ურთიერთდაკრედიტების მექანიზმის შექმნა.

კლასტერული განვითარების ვირტუალური ინფრასტრუქტურული პლატფორმის შექმნა რეგიონულ ეკონომიკურ სისტემაში, ითვალისწინებს შემდეგი ძირითადი ამოცანების არსებობას:

- კლასტერული ტექნოლოგიების დიფუზია და პოპულარიზაცია;
- კლასტერულ წარმონაქმნებში ბიზნეს პროცესებისა და კლასტერთა რეგიონულ ეკონომიკურ სისტემასთან ურთიერთქმედების გამჭირვალობის უზრუნველყოფა;
- კლასტერული წარმონაქმნების მონაწილეებს შორის კომუნიკაციის გაფართოება მონაწილეების პერსონალიზაციის ბაზისზე და პოლითემატური ფორუმების ჩატარება.

3.2. კონტროლინგის ინსტრუმენტის სახეცვლილება კლასტერების განვითარების მართვის მიზნებისთვის

იმერეთის მხარის რეგიონული ეკონომიკური სისტემის კლასტერების მონიტორინგის მიზნებისთვის, კოორდინაციისთვის, დაგეგმვისა და მართვისთვის მიზანშეწონილია კონტროლინგის კონცეფციის გამოყენება, რომელიც ადაპტირებული იქნება კლასტერული ურთიერთობების მოთხოვნილებებთან და თავისებურებებთან.

კლასტერული კონტროლინგი, როგორც ინსტრუმენტი, მოწოდებულია:

- 1) შემატოს კლასტერების განვითარებას რეგიონში კომპლექსური და

მიზანმიმართული ხასიათი კლასტერების განვითარების მიზნობრივი მნიშვნელობებისა და მონაცემების დადგენის გზით რეგიონულ ეკონომიკურ სისტემაში;

2) მოგვეცეს საშუალება, გავაანალიზოთ დაშვებული გადახრები, მათი მიზეზები და შევიმუშაოთ კლასტერული განვითარების კორექტირების გზები;

3) კლასტერული კონტროლინგის მექანიზმი მიზანშეწონილია განხორციელდეს რეგიონში კლასტერული განვითარების ინფრასტრუქტურული პლატფორმის ფარგლებში, ეს საქმიანობა უნდა განახორციელოს ინფრასტრუქტურულ პლატფორმაში არსებულმა ექსპერტ-ანალიტიკოსთა ჯგუფმა, რაც მოგვეცემს საშუალებას, განვახორციელოთ უფრო მეტად რეალისტური დაკვირვება კლასტერების განვითარების დინამიკაზე, უზრუნველყოთ კლასტერული განვითარების პროცესის გამჭვირვალობა, დავაჩქაროთ და ავამაღლოთ უკუკავშირის ხარისხი ამ პროცესის მონაწილეებს შორის.

3.3. კლასტერის მონაწილეთა შორის ნდობის განსავითარებელი ინსტუმენტების შემუშავება

ნდობა წარმოადგენს რეგიონის ეკონომიკური და სოციალური კაპიტალის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემადგენელს. რეგიონში ეკონომიკური ნდობის დონე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შიდა კლასტერული ურთიერთობების, კლასტერთშორისი კავშირების, აგრეთვე სუბიექტ-ობიექტური ხასიათის კავშირების (სამთავრობო ხელისუფლების ორგანოებსა და კლასტერებს შორის) ხასიათს, სიცოცხლისუნარიანობასა და მომავალ განვითარებას.

კლასტერული წარმონაქმნების მონაწილეებს შორის ნდობის ასამაღლებლად შეთავაზებულია შემდეგი ინსტუმენტები:

✚ კლასტერების მონაწილეების საკრედიტო მხარდაჭერა – მონაწილეთა ურთიერთკრედიტის მექანიზმი;

✚ ახალი ეკონომიკური აზროვნების ფორმირება რეგიონულ ერთობაში ეკონომიკური კულტურის განვითარების რეგიონული პროექტის

შემუშავების მეშვეობით, რომელიც შეიქმნება სახელმწიფო-კერძო არაკომერციული პარტნიორობის ფარგლებში;

- ✚ სტრატეგიული კონტრაქტის ფორმის შემუშავება კლასტერის მართვის ორგანოსა და ტერიტორიული მართვის ორგანოს შორის;
- ✚ პარტნიორობის ნდობის შეფასების რეიტინგული სისტემის ამუშავება;
- ✚ კლასტერების განვითარებისთვის სპეციალური ინფრასტრუქტურის შექმნა.

3.4. იმერეთის რეგიონში სამთო-სამრეწველო კლასტერების ფორმირების პერსპექტივა

რეგიონული განვითარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია რაციონალურად განისაზღვროს გამოუყენებელი მინერალურ-რესურსული პოტენციალის ეფექტიანი ათვისების შესაძლებლობები, რაც უზრუნველყოფს დამატებითი ღირებულების და მთლიანი რეგიონული პროდუქტის ზრდას.

შემოთავაზებული მეთოდი მოცემულ რეგიონში შესწავლილი ობიექტის კლასტერული შესაძლებლობების ხარისხობრივი, თვისობრივი შეფასებიდან საბაზისო მდგომარეობის რაოდენობრივი შედარების მდგომარეობაზე გადასვლის საშუალებას იძლევა, რათა განისაზღვროს მოცემული ობიექტის საფუძველზე კლასტერის ფორმირების შესაძლებლობა. წარმოდგენილი მეთოდიკა დაფუძნებულია ფაქტორების ექსპერტული შეფასების დამუშავებაზე და, რომელიც პორტერის კონკურენტუნარიანობის ოთხ მაჩვენებელზეა ფორმულირებული. წარმოდგენილ მეთოდიკაში შეისწავლება კონკურენტუნარიანობა როგორც ობიექტის კლასტერული შესაძლებლობების მაჩვენებელი.

გაიანგარიშება სპირმენის რანგობრივი კორელაციის კოეფიციენტი საკვლევი ობიექტისა და შესადარებელი ბაზისათვის. იმერეთის რეგიონის მინერალური რესურსების ათვისების და სამთო-სამრეწველო სექტორის კონკურენტუნარიანობის ფაქტორების საექსპერტო შეფასების განზოგადებული მონაცემები შეჯამებული შედეგები მოცემულია ცხრილში 3, რომელიც გვიჩვენებს, რომ ობიექტისთვის ასეთი განსხვავებები გაცილებით

დაბალია, ვიდრე განსხვავებები საბაზისოსთვის, რაც აშკარად მეტყველებს იმერეთის რეგიონის მინერალურ-რესურსული პოტენციალის ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის (როგორც ობიექტი) გადაჭარბებაზე პერსპექტივაში, ვიდრე საბაზისო დღესდღეობით არსებული სამთო-სამრეწველო სექტორის კონკურენტუნარიანობა იმერეთის რეგიონში.

რანგობრივი კორელაციის კოეფიციენტების გაანგარიშებისას (ანუ სასურველი და ფაქტობრივი პარამეტრების სიახლოვის ხარისხი) ვღებულობთ შემდეგ მაჩვენებლებს:

იმერეთის რეგიონის მინერალური რესურსების სექტორისათვის = 0,782;

იმერეთის რეგიონის სამთო-სამრეწველო სექტორისათვის = 0,255.

ამრიგად, იმერეთის რეგიონის მინერალური რესურსების მომპოვებელი სექტორის პოტენციური კლასტერული კოეფიციენტის შესაძლებლობები სამთომომპოვებელი სექტორის შესაძლებლობებთან შეადგენს: $0,782/0,255 = 3,067$, რაც აჩვენებს, რომ იმერეთის რეგიონში მინერალური რესურსების ათვისების სექტორის კლასტერული შესაძლებლობები საკმაოდ დიდია, რისი დადასტურებაც სრულიად რეალურია შესაქმნელ კლასტერებზე აღნიშნული მიმართულებებით.

მიღებული შედეგები აჩვენებს, თუ რამდენად უფრო კონკურენტუნარიანია მინერალური რესურსების ათვისების სექტორის პერსპექტიულობა, ვიდრე მხოლოდ დღესდღეობით სამთო ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობა იმერეთის რეგიონში.

აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ ობიექტის კლასტერული შესაძლებლობების შეფასების ეტაპზე, არამედ უკვე არსებული, მოქმედი კლასტერების კონკურენტუნარიანობის და ეფექტურობის ანალიზისთვის, მისი განვითარების სტრატეგიის შესწორების მიზნით.

კლასტერის ყველა მონაწილე მოგებული რჩება მყარი ურთიერთქმედებით და ისინი ღებულობენ უპირატესობებს სხვა ორგანიზაციებთან შედარებით. გარდა ამისა, კლასტერები ხელს უწყობენ შრომის მწარმოებლობის ამაღლებას და ინოვაციების გამოყენებას.


კონკურენტუნარიანობის აუცილებელი და ფაქტობრივი ფაქტორების სიახლოვის ხარისხის კოეფიციენტის გაანგარიშება სპირმენის რანგობრივი კორელაციის მეთოდით

№	ფაქტორები	იმერეთის რეგიონის მინერალური რესურსების ათვისების სექტორი				იმერეთის რეგიონის სამთო-სარეწველო სექტორი			
		ფაქტორების შეფასება 12-ბალანიანი სკალით		სპირმენის რანგობრივი კორელაციის კოეფიციენტის გაანგარიშება		ფაქტორების შეფასება 12-ბალანიანი სკალით		სპირმენის რანგობრივი კორელაციის კოეფიციენტის გაანგარიშება	
		ფაქტორების აუცილებლობა განვითარებისათვის	ფაქტობრივი ფაქტორების არსებობა	d	d ²	ფაქტორების აუცილებლობა განვითარებისათვის	ფაქტობრივი ფაქტორების არსებობა	d	d ²
1	მინერალური რესურსები	11	10	1	1	10	7	3	9
2	ადამიანური რესურსები	11	8	3	9	9	5	4	16
3	ფინანსური რესურსები	12	8	4	16	10	5	5	25
4	ფიზიკური ინფრასტრუქტურა	9	8	1	1	8	4	4	16
5	ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა	8	7	1	1	8	5	3	9
6	ინფორმაციული ინფრასტრუქტურა	7	5	2	4	9	4	5	25
7	სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი	11	9	2	4	10	5	5	25
8	ინოვაციურ ტექნოლოგიებზე წვდომა	12	8	4	16	11	5	6	36
9	საინვესტიციო გარემო და რეგიონული ხელისუფლების პოლიტიკა	12	10	2	4	12	6	6	36
10	კონკურენციის თავისუფლება	10	7	3	9	9	5	4	16
11	ადგილობრივი შეკვეთები	9	7	2	4	10	4	6	36
12	მომხმარებელთა მოთხოვნილებები	9	6	3	9	10	5	5	25
13	გლობალურ (საერთაშორისო) ბაზარზე მიმართულ პროდუქციაზე სპეციალიზებული მოთხოვნა	11	9	2	4	11	7	4	16
14	კვალიფიციური მომწოდებლები	11	5	3	9	10	5	5	25
15	ეფექტური მომსახურე (დამხმარე) დარგების არსებობა	10	6	2	4	12	6	6	36
	$\sum d^2 + T_a + T_b$				122				417
	$6*(\sum d^2 + T_a + T_b)$				732				2502
	N				15				15
	$n*(n^2-1)$				3360				3360
	$R=1-6*(\sum d^2+T_a+T_b)/n*(n^2-1)$				0,782				0,255

² აღნიშნული მეთოდი ადაპტირებულია ავტორის მიერ, წყარო: <http://www.economy.nayka.com.ua/?op=1&z=437>

კლასტერის რეპუტაციის გამოყენებით, მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოები დებულობენ რესურსების მოპოვების ახალ შესაძლებლობებს, ხოლო ამავედროულად ბიზნესს და რეგიონულ ხელისუფლებას შეუძლიათ მოძებნონ გზები სახელმწიფო სტრუქტურების მეშვეობით საკუთარი ინიციატივების უფრო ეფექტური განვითარებისათვის.

კლასტერის სტრუქტურის საფუძველზე, პროფილური პოტენციური მონაწილეებისა და რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით შესაძლებელია რეგიონული და სამრეწველო კლასტერის მოდელის შემუშავება იმერეთში (იხ. ნახ. 1), რომლის ეფექტიანი განხორციელება უზრუნველყოფს



ნახ. 2. იმერეთის რეგიონის სამთო-სამრეწველო კლასტერის მოდელი

რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას კლასტერებისა და ქსელური კავშირების ორგანიზაციის სტიმულირებით, კლასტერის შიგნით თანამშრომლობის განვითარებით და ბიზნესის გარემოს ხარისხის ამაღლებით, რაც თავის მხრივ, განაპირობებს მის ეკონომიკურ განვითარებასა და კონკუ-

რენტუნარიანობის ზრდას.

ამრიგად, იმერეთის რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავება ინოვაციური ინფრასტრუქტურული სახეების მ.შ. კლასტერების, ბიზნეს-ინკუბატორებისა და სხვათა ჩამოყალიბების თვალსაზრისით მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

დასკვნა

ჩატარებული კვლევა იძლევა საშუალებას ჩამოვყალიბოთ შემდეგი შემაჯამებელი დასკვნები:

1. კლასტერების ფუნქციები ბევრი მიმართულებით მხარს უჭერენ რეგიონული სისტემის ფუნქციებს; ასეთი ხმარდაჭერის პრიორიტეტული მიმართულებებია: რეგიონულ ეკონომიკის პოსტინდუსტრიული გარდაქმნის პროცესის დაჩქარება; ტერიტორიის კონკურენტუნარიანობისა და ინვესტიციური მიმზიდველობის გაზრდა; საწარმოო პროცესების ინოვაციური და ინტელექტუალური შევსება რეგიონულ ეკონომიკურ სისტემაში; ადამიანისეული კაპიტალის განვითარება და რეგიონის მოსახლეობის კეთილდღეობისა და ცხოვრების დონის გაზრდა. კლასტერული მიდგომა პასუხებს ტერიტორიის კონკურენტუნარიანობის ამაღლების იდეას, რაც გამოიხატება ინვესტორების ორიენტირებაში იმ ტერიტორიულ საწარმოებზე, რომელთაც გააჩნიათ შედგენილი კლასტერები ან არსებობს კლასტერების ფორმირების წინაპირობები.

2. იმერეთის რეგიონი მდიდარია და მნიშვნელოვანწილად გამოირჩევა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წიაღისეული სიმდიდრეების მრავალფეროვნებით, რომელთა უდანაკარგო, კომპლექსური და ეფექტიანი ათვისება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ხელს შეუწყობს მათ ბაზაზე მომუშავე საწარმოთა რეაბილიტაციას და ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას, რათა რეგიონში შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, მაქსიმალურად უზრუნველყოფილ იყოს ადამიანური რესურსები და ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება, მოსახლეობის სტაბილური შემო-

სავალი და გაიზარდოს რეგიონის კონკურენტუნარიანობა.

3. რეგიონის ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, ხოლო რეგიონის ეკონომიკური აქტივობის ზრდისთვის აუცილებელია სახელმწიფოს მხარდაჭერა იმ პრობლემების გადაჭრაში, რომელიც უკავშირდება რეგიონში ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, ადგილობრივი წარმოების პროტექციონიზმს, ინფრასტრუქტურისა და ფინანსური შუამავლობის განვითარებას.

4. რეგიონის მინერალურ-სანედლეულო პოტენციალის წარმოჩენისა და მისი საბაზრო ურთიერთობებში რაციონალური ჩართვის მიზნით აუცილებელია ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომელიც დაარეგულერებს ამ დარგში საქმიანობის სრულ ციკლს წიაღისეულის მოპოვების, გადამუშავების, საბოლოო ტექნოლოგიატევადი, მაღალეფექტიანი პროდუქტების მიღების და მის მარკეტინგიულ სტრატეგიას (მოთხოვნა, ფასი, ხარისხი და სხვ.), ამ პროდუქციის ეფექტიან გასაღებამდე, უზრუნველყოფს მართვის დინამიური სისტემის გამართულ მუშაობას, გაითვალისწინებს ბაზრის რეალურ მოთხოვნებს და მინერალურ-სანედლეულო ბაზის საწარმოო შესაძლებლობებს, სადაც მნიშვნელოვანია წიაღის სარგებლობის, შრომის, გარემოსდაცვითი, სოციალური ზეგავლენის საკითხები და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები, რაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს რეგიონის არსებულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას გრძელვადიან პერსპექტივაში.

5. ამიტომ აუცილებელად მიგვაჩნია ამ მიმართულებით სწრაფი და ეფექტური მოქმედება. პირველ რიგში, უნდა მოხდეს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და საქართველოს მსგავსი ქვეყნების წარმატებული კლასტერების ადმინისტრაციასთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება. ასევე გასათვალისწინებელია საქართველოს და საკვლევი რეგიონის რეალობა, ის ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლებიც მას გააჩნია. სახელმწიფოს დონეზე უნდა ჩამოყალიბდეს ერთიანი ხედვა და სტრატეგია, გამოიყოს სტრატეგიული და პრიორიტეტული სამთო-სამრეწველო სექტორის განმსაზღვრელი დარგები.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

სამეცნიერო სტატიები:

1. ლობჯანიძე გ., ტაბატაძე გ., მდინარაძე ქ., ტატიშვილი გ., ლაბაძე დ., ხეცურიანი გ., ნანიტაშვილი გ. საგარეო ეკონომიკური საქმიანობა და საერთაშორისო საწარმოო კოოპერაცია მინერალური რესურსების ათვისებაში. ჟ. „საქართველოს ნავთობი და გაზი“, 2018, № 33, გვ. 14–30.
2. ლობჯანიძე გ., ლაბაძე დ., ლორია დ., ნანიტაშვილი გ. საქართველოს სამთომომპოვებელი ბიზნესის განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე: მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები. ჟურნალი „სამთო ჟურნალი“, 2019, № 1(42), გვ. 48-62.
3. ნანიტაშვილი გ. საწარმოო კლასტერები, როგორც რეგიონის ეკონომიკის ინოვაციური განვითარების საფუძველი. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, 2019, №2-3, გვ. 104–108.
4. ლობჯანიძე გ., ტაბატაძე გ., ნანიტაშვილი გ. სამთო-სამრეწველო კლასტერის ფორმირების პოტენციალის შეფასება იმერეთის რეგიონში. ჟურნალი „სამთო ჟურნალი“, 2020, № 1(43), გვ. 50-64.
5. ნანიტაშვილი გ. კლასტერული პოლიტიკა როგორც რეგიონის ეკონომიკის განვითარების საფუძველი. ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“, XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები, თბილისი, 2020, №1, გვ. 24–27.

კონფერენციები:

1. ლობჯანიძე გ., კახაძე ბ., ლომსაძე გ., ტაბატაძე გ., ბუტულაშვილი თ., ხეცურიანი გ., ლაბაძე დ., ლორია დ., ნანიტაშვილი გ. ინოვაციური ინფრასტრუქტურის ფორმირების შესაძლებლობები საქართველოს სამთო მრეწველობის საწარმოთა ეფექტიანობის ამაღლებაში. მე-4 ყოველწლიური დია სამეცნიერო კონფერენცია „სამთო საქმისა და გეოლოგიის აქტუალური პრობლემები“, თბილისი, გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, 2017, გვ. 11-12.
2. Lobjanidze G., Machaidze G., Khetsuriani G., Labadze D., Loria D., Nanitashvili G. Current aspects of sustainable development of mining industry. Mineralogical Society of Georgia, Georgian Technical University, 4-td International Scientific-

practical Conference on up-to-date problems of Geology. Book of Abstracts, GTU, Tbilisi: „Technical University“, 2018, pp. 65-70.

3. ლობჯანიძე გ., ლაბაძე დ., ლორია დ., ნანიტაშვილი გ. საქართველოს სამომომპოვებელი ბიზნესის განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე: მიღწევები, პრობლემები, პერსპექტივები. მე-5 ყოველწლიური ღია სამეცნიერო კონფერენცია „სამთო საქმისა და გეოლოგიის აქტუალური პრობლემები“, თბილისი, გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, 2018, გვ. 11-12.

4. ნანიტაშვილი გ. კლასტერული სტრატეგიები რეგიონის ეკონომიკის განვითარებაში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 87-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 2019, 15 გვ.

5. Lobjanidze G., Labadze D., Tabatadze G., Kakhadze B., Butulashvili T., Machaidze G., Khetsuriani G., G. Nanitashvili. Economic development perspectives of mining industry in the conditions of globalization Mineralogical Society of Georgia, Georgian Technical University, 5-th International Scientific-practical Conference on up-to-date problems of Geology. Book of Abstracts, GTU, Tbilisi, „Technical University“, 2019, pp. 67-70.

სადისერტაციო ნაშრომის თემაზე ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში დაცული იქნა ორი კოლოკვიუმი:

კოლოკვიუმი:

1. კოლოკვიუმი 1 – კლასტერების ფუნქციონირებისა და განვითარების კონცეპტუალური ასპექტები საქართველოს რეგიონულ ეკონომიკურ სისტემებში. თბილისი, 2019.

2. კოლოკვიუმი 2 – კლასტერების განვითარების უცხოური გამოცდილება“. თბილისი, 2019.